

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია
თბილისის ქ. № 3 მკორე სართულში.
თბილისის მთავრობის განცხადებით
ორის 200 მან.

შასი 10 მან.

№ 63

ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის პოლიტბიუროსა.

№ 63

გურჯაანულ დემოკრატიის საგაფორმე

Что то гнило в царстве Датском...

დღიდან ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს რევოლუციის ფონტისა და გამოთქვისა, და ქართველ მწიფე-ვიკების ბურჟუაზიულ ფერისცვალობის ჩვენ მუდამ ვფიქრობდით იმ ჭაობზე, რომელიც ჩაღვა ჩვენს ცხოვრებაში მოჩვენებითი დემოკრატიის გაბატონებით. ძველ ხელუხლებელ საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობათა კვანძის გადაჭრის მიგერ მშრომელმა ხალხმა იხილა მხოლოდ ამ კვანძის ახალი მოდარაჯე. გამოიცვალენ პიროვნებები, ურთიერთობანი ძველებური დარჩა: ბიუროკრატია, პოლიცია, მთელი უზარმაზარი სახელმწიფო აპარატი წისკვილის ქვასავით დაკიდებია ორი გუბერნიის ქვეშევრდომთა და უფსკრულსაყენ სიეზიდება მათ. იყო დრო დემოკრატიული ილიუზიების მშრომელნი-მუშები და გლეხები გულწრფელად ვახარებულნი იყვნენ, და სულ ახალი, ბრწყინვალე ხანის დადგომის მომსაწვევლად მიჩნდათ, როცა გორონცივის მიგერ სასახლეებში ბატონებდა სახელობდნენ ნაცნობ რევოლუციონერებს. ეგონათ, —როცა ჩვენი მომხრე ხალხი სათავადო, რაჟი მათ დაიპირეს ვარანცივის და მისი ხელქვეითი ბიუროკრატების დასჯისა, აწი უზრუნველყოფილნი ვართ, რადგან ჩვენი მასწავლებლები, ახლა ძალაუფლებას დაპატრონებულნი, რასაკვირველია შეასრულებენ ყოველივე დაპირებულს და კეთილ ცხოვრებას დაგვიმკვიდრებენო.

კეთილსინდისიერად ცდებოდა მშრომელი, მათ ვერ შეგნობთ, რომ ახალ ცხოვრებას ახალი ზედნაშენი ესაჭიროება, რომ მშრომელთა ბედნიერება შეუძლებელია ძველ ბიუროკრატიულ-პოლიციურ ჩარჩოებში, ძველი აპარატის მუხრუჭებში, რაიც შემოღებულია ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური ბატონობის ხანაში, და წარმოადგენს მამინდელი ურთიერთობის განსახიერებას. მშრომელთა გაბატონების წინასწარი პირობა მთელი ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის ერთთავად მოშლა და მის ნანგრევებზე ახალი, მშრომელთა ბატონობის გამოხატული აპარატის მოწყობა და ამუშავება. და თუ ასე არ მოხდა, რაც გინდ საშინელი რევოლუციონერი და სოციალისტი არ დაეყენო მანქანის ყოველ ნაწილთან, ის იმუშავებს მხოლოდ ძველებურათ, მდიდრებისათვის, ბიუროკრატებისათვის. და ასეთ ჩარჩოებში მოქცეული აღუდებელი ცხოვრება სულ მალე ამშორებულ ჭაობად იქცევა. ასეც მოხდა. შმორის სუნი დგას დღეს ჩვენში, სრწნის და ლბობის პირობებით გამოვრდნილია ცხოვრების გული, ყოველი ასო.

ალარაფინ უარპყიფს დღეს ამას, გარდა „პაზიონი“ მწერლებებისა, რომელთა თანამდებობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ აქონ და ადიდონ არსებული წყობილება, ყოველთვის და ყველგან. ამათ გარდა კი ყველა თვალში ჩასჩერება არიდალს დალუგისას, განადგურებისას, ჩასჩერება, მარა ამ მოვლენის ახსნა, მისი მიზეზის ვაგება ვერ მოუხერხება, მის სიღრმეში ვერ ჩახუნება და ზედპირის შელაპარაკებისგან, აქა იქ დემოკრატიზმის მალამოს ნაცხებისგან გამოვლის სასწაულს, დაქანებული წყობილების ამუშავებას, აყვავებას. მაგალითად, უკანასკნელი კვირა შეიძლება მომარაგების სამინისტროს კვირით ჩა-

თვალის. ლუკმა პურის საკითხი დღეს მთელს დედამიწაზე ცხოვრების შუამდგომი ჩამდგარი, ბრძოლის საგნათა გადაქცეული. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრაში, როგორც სარკეში, გამოიყურება სიახლოვე ამ თუ იმ წყობილებას. და აი ბოლო ხანებში ჩვენშიაც ამუშავდა ე. წ. „საზოგადოებრივი აზრი“ და დემოკრატიის ნახელავ სასურსათო სამინისტროს ალყა შემოარტყა — ზოგი ვაზეთი პურის მაგიერ ტალხის გასაღებთაა აღწერილებული, ზოგმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ამ სამინისტროს შენობასთან ფუფუნობდნ და დაძრწინ სპეკულანტები, ზოგიც „დემოკრატიულად“ ნაწარმოებ ანგარიშების ოციხიას მოითხოვეს. ყველა ხედავს თითქო უფსკრულს, მარა ერთი პეშვი მიწის ჩაყრით ფიქრობდნ მის აპოვისებას. ვერც კი ხედავენ რომ ბოლოს და ბოლოს არც მექრთამეობით, რც დაუდევრობით და არც დემოკრატიების უუნარობით შეიძლება ქართველ მენშევიკების სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის შუაგულში დაზუღბულ რღვევა-ღობის პროცესის ასე სწრაფად განვითარება. ეს მოვლენა მსოფლიოს თუ არა — რიგორც უყვართ მენშევიკებს ფიცი — საქართველოს მთელი სამეურნეო ცხოვრების დაქიანების მიჩვენებულია. დიდი ხანია ეს პროცესი მოქმედებდა, მარა ხანამ ცეხაუხები და სხვა საწყობები საესე იყო რუსეთისაგან დარჩენილ სიმდიდრით და მასთან ვაჭრობით დემოკრატიულ სულს იბრუნებდა, და თავის დიდ დამსახურებათ მიანდა. დაცალიერდა საწყობები, აღარაფერია გასაზრდი და კრიზისიც, აუცილებელი კრაზიც ყველასათვის დასაჩახი შეიქმნა, მაგრამ ზოგი ვანზრახ ზოგიც შეუგნებლობით თვალს არიდებს და არ უნდა შევიგნოს, რომ ეს კრაზი თავიდან ბოლომდე წარმოადგენს კრაზს ბურჟუაზიული დემოკრატიისას, რომელიც ჩვენს ქვეყანას ბრძანებლობს აგრამესამე წელნიად, და რომელმაც მშრომელ ხალხს არსებობის პურის მაგიერ ქეშა და ტალხი მოუტანა მხოლოდ.

ისპ ბ. დავლარიანი

ბ. დევდარიანის ახლანდელი წერის მანერა რამოდენიმე შეიცვალა: ის უკვე აღარ ბნენებს „უბრალონით“ დეკრეტებს სახელითა მარქსისათა, აღარ ათამაშებს ჯამბაზურთ ციტატებს. ამ მხრივ ის იმე მორავულებულია, რომ ციტატა მოპყავს, თან ურთავს სხოლიოში შენიშვნას —საიდან არის და რომელ გვერდზეა სამოწმოდ მოყვანილი სიტყვები რომელიმე ავტორის. მართალია ბ. დევდარიანი ახლაც ვანაგრძობს „თავის სიტყვებით“ მოთხრობას მარქსისა და ცნობილ მარქსისტების აზრ-შეხებულებას —ამას წინეთ მან პროლეტარიატისა და კონცენტრაცია ორი სიტყვით გააუქმა, მარა ესეც თვალსაჩინო წინ გადადგმული ნაბიჯია შინაურ თეორეტიკოსისთვის, რომელიც ასე დაურიდებლათ, ასე უტყვემონით ექცეოდა სინამდვილეს და თეორის აშავებდა, შავს ათეთრებდა. მაგრამ მას, ციტატების სწორათ მომყვანსაც, თან სდევს ისეთი სენი, რომელიც არც ისე ადვილათ გასაკურნავი ყოფილა. ციტატას სწორათ მოყვანა რომ საქმარისი არ არის, საქმარია მისთვის შესაფერისი დროის და გარემოების შერჩევა. ერთ სახელ განტყულ გმირს სწორად მოყავდა ღვთის მსახურებიდან — „ციტატები“ მარა მაინც მისამდგევი ხდებოდა, ვინაიდან ქორწილში ის დიაკვნისებურად აღიმდებდა მას და მწუხარედ დამ-

დეროდა: სულთ-თანა განუსვენეო, ხოლო ვასვენებაზე ახირებულთ ულოცავდა ქირისუფლებს: ღმერთმ გიმრავლო სიო... ასე იქცევა ბ. დევდარიანი. „ერთობის“ მე 226 ნომერში ბ. დევდარიანი რუსეთის ბალშევიკების ბაქაობად აცხადებს იმას, რომ ვახ. „Lisectia“ ამ იხმარა სტატიის სათაურად ცნობილი სიტყვები: სინათლე აღმასავლეთიდან მოდისო (ex oriente lux!). ბ. დევდარიანი ალბათ კარგათ მოხსენებდა, რომ სწორედ ეს გამოთქმა იყო ვერცხლებული დასავლეთ ევროპ. რევოლუციონერ მარქსისტებს შორის რუსეთის პირველი რევოლუციის ხანებში და უფრო ადრეც: ევროპაში ერთგვარი სოციალური წონასწორობა გამოფეხულა, რევოლუციური სიტუაცია მხოლოდ რუსეთშია და ადვილი შესაძლებელია მასვე ხედეს წილად პროლეტარული რევოლუციის ინიციატივით. რა არის ამაში მოულოდნელი გაუგებარი? მით უმეტეს, რომ ახლა ბ. დევდარიანი, რომელსაც ამას წინეთ „ახილად“ გამოყავდა რუსეთის მუშა, დღეს იძულებულია შემოგვაპაროს ასეთი დაგვიანებული მართალი „მზავი“: „რევოლუციონერი ბით ის (რუსეთის მუშათა კლასი) წინეთა სჯობდა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს“, ასე ვასწავეთ კალკისაც კი იმომებს ამის დასადასტურებლად. მაგრამ მთავარი პირობის დაშარავი ბ. დევდარიანი ორბოხში გადახვევით ფიქრობს —საშვილიაო. ვასვლას: „არც ერთი მარქსისტი არ ფიქრობდა, რომ რუსეთიდან მოვედინება ევროპას სოციალისტური მასწავლებელი და წინამძღოლი“, ასე იკეთებს ის გულს და გონია, რაღაც სიბრძნე თქვითო. რევოლუციონერი სოციალიზმ-კომუნისმის მთავარი პრინციპია ინტერნაციონალიზმი. ამ ნია დაგზე ყველა ქვეყნის მუშათა კლასი ერთი-მეორესაგან სწავლობენ ბრძოლას, იყენებენ ერთი-მეორის გამოცდილებას, აქტიურათ ეხმარებიან ერთმანეთს: პირდაპირ და არა პირდაპირაც. ე. ი. რევოლუციონერ ძალდატანებას ახდენენ თავიანთ მთავრობებზე. თუ კი 1905 წ. რუსეთის მუშათა კლასმა ახალი სიტუაცია სთქვა და ახალი საქმე დაიწყო საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვით, და ეს სიტუაცია და ეს საქმე შეითვისა არა მარტო ოსმალეთის და ავსტრიის მშრომელებმა, არამედ თეთი დაწინაურებულ გერმანიის პროლეტარიატმა, რატომ იგივე რუსეთს არ შეეძლო პირველი ნაბიჯი გადაედგა სოციალისტური რევოლუციის გზაზე და ასე „წინამძღოლი“ განმდარიყო სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც უფრო ილილათ და უკეთესად ივლიან იმ გზით არა იმიტომ მარტო, რომ მათი კულტურული ღონე და სხვა მხრითაც მომზადება უფრო მალაია, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთს წინაჟიობა ხელაწილად, მის მიერ გადადებული ხიდი გაუადვილებს ევროპის პროლეტარიატს შედარებით ნაკლები შეცდომებით საუკეთესო შედეგების მიღწევას. ჩვენ დავიყვეთ სოციალისტ. რევოლუციით, ჩვენ მეტი გზა არ გვექონდა იმპერიალიზმის ჩიხიდან თავის დასაღწევათ და წინმსწავლობის ვანსაგრძობათ, გერმანია და საფრანგეთი ვანაგრძობდნ, ინგლისი საუკეთესოთ დაამოლოვებს რევოლუციის სწორედ და იმეორებენ რუსეთის კომუნისტებს. რა არის ამაში გაუგებარი, მოულოდნელი ციტატა თუ მეტად კეთილსინდისიერ მეთვალყურესათვის, და მით უმეტეს მარქსისტისათვის, თუ ის ბურჟუაზიის სათვალევით არ შეპყრებს ისტორიულ მოვლენებს?

მარა ბ. დევდარიანი მოხსენებს არ აღეგნება „აღმოსავლეთი“. ნუთნ ინდოეთიდან და სპარსეთიდან უნდა ელოდეს ევროპა სოციალისტური რევოლუციის სხივებს? ამ თეორეტიკოსისათვის თითქოს არც კი არსებობდეს მდიდარი მარქსისტული ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ, თითქოს მართლა ვინმეს, ერთ რომელიმე ბალშევიკს მაინც, ეთქვას, რომ სოციალისტური რევოლუციის გავეითებები დასავლეთ ევროპამ ინდოეთისგან და სპარსეთისგან უნდა მიიღოს. არა, ღირსეული მოძღვარი ქართველ პროფესიონალ კავშირებისა. საქმე სულ სხვა რიგათ არის. ინდოეთი ინგლისის ბურჟუაზიის ისეთი მდიდარი ბელელია, რომ ის (ბურჟოა) ახერხებდა ათეულ წლების განმავლობაში ამ ბელელიდან ნაციონალური გაღებთა ინგლისის მუშების რევოლუციონერი ენერჯის განვლებას, გამოფეტვას, დაფერფლას, ე. ი. ახერხებდა თავისი კლასიური მტრის მიშინაურებას, ბურჟუაზიულათ გარყვანას, წერლ-ბურჟუაზიულ მიიზნებათ გადაქცევას (კალკის სიტყვებითა). როცა ინგლისის ბურჟუაზია დაკარგავს ამ ბელელს, ინგლისის მუშებშიაც ფეხს აიდგამს სოციალიზმი —ეს ხომ სწორეთ მარქს-ენგელსის, კალკის და სხ. შეხედულება იყო. როცა 1885 წ. ინგლის-რუსეთის შუა ომის საფრთხე გამოჩნდა ავღანისტანის გამო, ენგელსი ომის შედეგათ სოციალისტური რევოლუციის მოვლოდა ინგლისში. რუთ უმიტომ ენგელსი „ზავლებში“ უნდა ჩავრიცხოთ? დღეს სწორეთ ბალშევიკების „აღმოსავლეთური პოლიტიკა“ ახორციელებს მარქს-ენგელსის მეცნიერულ ანდერძს: ინგლისის იმპერიალიზმის დამარცხება კალონებში, მისი მონოპოლის მოსპობა დააჩქარებს სოციალისტური გადატრიალებას მეტროპოლიაში. ეს ესეთი ანაბანაა, რომ სასიცოცხლო უნდა იყოს მისი არცოდნა თუ ვანგებ მივიწყება „ცნობილ“ მარქსისტისათვის. მარა არა ქნის ბ. დევდარიანი, რუსეთის რევოლუციის ხანგრძლივობა და ძღვეამოსილება მას სიცოცხლეს უწამლავს, მეცნიერულ სინდისს უფოთებს. ამ სინდისის დასაყვავებლად ის ვაგორებულ ძველ მეფასშესავით ძველ, უმიზეთ თამასუქებში აფეთურებს ხელს. მას მოპყავს მარქსის შეხედულება ინგლისის როლის შესახებ სოციალისტურ რევოლუციისაში, მოპყავს სწორათ, სიტყვა-სიტყვით. მარა მოპყავს ისეთ „დროსა და სივრცეში“, როცა თვით მარქსი მათ აღარ გამოეორებდა. მარქსის დროს იმ გლისი მართლა კლასიური ქვეყანა იყო კაპიტალიზმის; ის იყო ქვეყანა, სადაც აღარაძნდა პირველი მძღავრი მუშათა მოძრაობა სოციალისტური მიდრეკილებით —ე. წ. ჩარტიზმი. შეიძინა კი ინგლისმა ეს პირველობა შემდეგში? შერჩა ინგლისის მუშათა კლასს სოციალიზმის ნიშან-წყალი მაინც? ბ. დევდარიანი უუკეთეს იზანდა, რომ იმავე კალკის ბროშურიდან, საიდანაც მან მოიყვანა ციტატა, ამოწერა „ერთობის“ მკითხველებისთვის ის სტრიქონებიც, სადაც კალკი სწერს: უნდა გამოეცხადე, ერთ დროს მეც მრწამლა, რომ კაპიტალიზმის აკვანი ინგლისი, შეიქმნა სოციალისტ. რევოლუციის პირველ ქვეყანად, მარა ეს შემეცდარი შეხედულება ჩვენი დროისთვის, როცა ინგლისი ჩვენი ჩამორჩენილი კაპიტალისტური ქვეყანაა გერმანია-ამერიკასთან შედარებით, სადაც უმწვერვალესად განვითარდა კაპიტალიზმის უმადლესი, უკანასკნელი ფორმა —ფინანსური კაპიტალი, რომელიც მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენდა მარქსის დროს. ვასსენოს ბ. დევდარიანი

და ვაკცნოს კალკის შეხედულება თავის მრველს ინგლისის ჩამორჩენილობაზე, რომელიც მან განავითარა გილფერდანის წიგნის წინასიტყვაობაში. ჭ საზოგადოთ —მის მაგიერ, რომ „პატივი სცენ“ მხრებზე აყვანით და ასე ვასეირნებით, წაბადონ ბალშევიკურ რუსეთს ერთ რამეში მაინც —გამოსცენ კალკის (რომელსაც მათი ფიციით სულაც არ შეუცვლია თავის მრწამსი) ყველა თუ არა, ზოგიერთი კლასიური ნაწარმოები და ასე სცენ პატივი მას, ასეთი გზით ვაკცნონ იგი საქართველოს მუშებს. მაგრამ ამას ბ. დევდარიანი ვერ იზამენ, რადგან თავისი ხელით არ დაკლავენ ახლანდელ კალკის, ძველ კალკისთან დადარებით, და მასთან ერთად საჯაროთ, ვაბრუნებულ მუშების წინ არ გაიშოლტავენ თავის თავსაც. „ემშა-კის მათარახის“ და „ერთობის“ მეცნიერული სოციალიზმით აქაყოფილებენ თავიანთ დემოკრატიულ მრველს.

6. 8.

სომხეთ-საქართველოს დაახლოვება

სომხეთ-ოსმალეთის საზღვრებზე მომხდარ სისხლის ამბებმა სომხეთ საქართველოს დაახლოვების და მათ შორის სახმედრო კავშირის შეკერის საკითხი კვლავ ავტუალურ საკითხად აქცია. ყოველთვის, როდესაც რამე „საფრთხე“ ემუქრებოდა ამიერ-კავკასიის რომელიმე რესპუბლიკას, თბილისის და განაპირა კუთხეების გაზეთები ალაპარაკებოდნენ სალმე „მუშაბელ რესპუბლიკების შეთანხმების“ აუცილებლობაზე. თითქმის იმიტომაც იცნებობდნ, რომ „აღმოსავლეთის ანტანტა შეიქმნათ, მასთან „აშხატაური“ გულსინდობა მას, როგორც კავშირის სპარსეთის, სომხეთის და საქართველოს შორის, ვაზეთი „ერკირი“, კი (კონსტანტინოპოლის სინსური ვაზეთია) —საბერძნეთის, სომხეთის და საქართველოს შორის. მაგრამ ყოველივე ეს და მისდაგვარი ამბები პუბლიცისტების სასიამოვნო თემათ და საგაზეთო დიპლომატების საოცნებოთ და გასართობათ რჩებოდა.

დღევანდელმა საფრთხემ კიდევ უფრო მწვავეთ გამოიწვია თბილისის ვაზეთე მის ფურცლებზე ისევე ის ზღაპარი — „თეთრ მოზვერზე“. მაგრამ, ვინაიდან ეს საფრთხე „სხვა ხასიათის“ არის, საკითხი ისმება და პასუხიც ეძლევა პოლიტიკური და სოციალური მდგმარეობის მიმართულების თანახმათ.

ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „საქართველო“, რომელსაც ეწინაა ჩვენში ევროპათ-ქველ ნაციონალურ ბატონობის დაკარგვა და ვერ ურიგდება საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ერთა განვითარებას, საკითხს პირდაპირ აყენებს, ხოლო პასუხს სათუოდ და პირობით იძლევა.

„დაუნდობელ მტრის მოსაგებლად ჩვენ უნდა შევერათ სახმედრო კავშირი, რუსეთ-ოსმალეთის იმპერიალისტები მარტო სომხეთით არ დაქაყოფილდებიან, ისინი ჩვენს სამშობლოსაც გააბედნიერებენ... ამიტომაც სომხეთ-საქართველოს სახმედრო კავშირის საკითხი მიშინაურ მომენტის საკითხათ უნდა იქცეს.“

და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „რუთ მის ხალხს (დამოუკიდებელ სომხეთს) და მთავრობას თავისი თავისუფლება გულწრფელათ სწამთ და მისი დაცვა თავისი სამართო ვალათ მიანიათ“, ე. ი. თუ სომხეთი არ მიბაძვის აზერბაიჯანის მავალითს, თუ სომხეთის მუშები და გლეხები საბჭოთა ძალა-უფლების შემო-



ვისდევნი პარლამენტში: მეფის დუმილი, „წინასწარი პარლამენტი“, „დამფუძნებელი კრება“; ბორღივაც ამბობდა, რომ პარლამენტი არ არის ბრძოლის საშუალება ბურჟუაზიულ დაწესებულებასთან, რომელშიც არ უნდა შედიოდნენ კომუნისტები. მაგრამ თანამედროვე არმია აღბრუნებდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიის დაწესებულებას, და ჩვენ კი მოუწოდებდით იქ შესვლას იმისთვის, რომ საჭირო მომენტში ვინტაჟები გვეკონტროლებდა ხელში. აქ საბუთად პარლამენტში მონაწილეობის მიღების საწინააღმდეგო მოყვადით კიდევ ის, რომ თითოეული იქ შესული დეპუტატი პროლეტარიატის მოლაპარაკებელია, რომ თანამედროვე პარლამენტი წარმოადგენს ფართო ასპარეზს ბოროტ-მოხმარისათვის და სხვ. მაგრამ განა პროფკავშირებში და პოლიტიკურ პარტიებში დახლებული ვართ ჩვენ ასეთ ბოროტ-მოხმარებისაგან ცალკე მოღვაწეთა მხრიდან? არა ლეგალური პარტია ყოველთვის წარმოადგენს პოპულარულ ნიდავს აგენტ-პროვოკატორებისთვის და ერთ არგუმენტთან ერთად ის

აქვე ყველა ოპორტუნისტებს არაღლეა-ლური ორგანიზაციისთვის. მაგრამ განა ჩვენ ამიტომ უნდა უარვყოთ ორგანიზაციის არაღლეა-ლური ფორმები? მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ დღევანდელ ეპოქას: თუ ჩვენ ვცნობთ ეპოქის რევოლუციონარულ ხასიათს, მაშინ ეს საუკეთესო გარანტიაა ყველაგვარ ბოროტმოხმარების წინააღმდეგ. ბებელი არ შეიძლება მაგალითი იყოს ჩვენთვის, ვინაიდან ის, სწორედ რომ ტიპური წარმომადგენელია მე-2 ინტერნაციონალის წინანდელი ეპოქის. ჩვენ მოუხმობთ, —ათავეს ამ ბუხარის, —ყველა ამხანაგებს წავიდნენ ბურჟუაზიულ პარლამენტში. ლოზუნგით: „ძირს პარლამენტარიზმი“.

დელეგატების მთელი რიგი გამოდის პირადულ კითხვების შესახებ, რის შემდეგ კენჭს უყრიან თვისსებს. უძრავლესობით (ყველა 11 წინანდელი) საფუძვლად მიღებულ იქნა ბუხარის თვისებები, რომლებიც გადაცემულ იქნა ყველა შესწორებებით უკანვე კომისიაში საბოლოო გამომუშავებისათვის. ბორღივაც თვისებებში მიიღო სამი ხმა.

(შემდეგ იქნება)

გიულბეგის პრესბიურისი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში. მოსკოვი, 2 ოქტ. 24 სექტ. შესდგა საზეიმო შეერთებული სხდომა რუსეთის კომუნისტურ პარტიის მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის გუბერნიის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს, პროფესიონალურ კავშირების მმართველობასა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების. ამ სხდომას დაესწრა კლარა ცეტკინა, რომელმაც თავის გრძნობაურ სიტყვაში სთქვა, რომ რუსეთში ჩამოვდები იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის სახელით მოგვესალმებო და პროლეტარული აღფრთოვანება თქვენი გმირული ბრძოლის გამო გამოვსთქვაო.

ნათესადურში ერთი ვერჯის მუშების მიერ დაკავების დროს პოლიციასთან შეტაკება მოხდა. დაიკარა ორი მუშა, ერთი მოკვდა. შრომის პალატიდან და მეტალურგიული ფედერაციიდან პრეფექტმა დელეგაცია მიიღო და მომხდარი ინციდენტის გამო მათ წინაშე მწუხარება გამოთქვა მან აღუთქვა დელეგაციას, რომ აგენტები, რომლებმაც იარაღი იხმარეს, გამოწვეული არიან და პროკურორის გადაცემა. პრეფექტმა ყველა ფაბრიკა-ქარხნებიდან შეიარაღებულ ძალების ფორმალურად გაყვანას შეპირდა მათ, და მართლაც, ახლა პრეფექტის ბრძანებისამებრ არც ერთ ქარხანაზე, არც ერთი ვერჯული-ლიგურიაში შეიარაღებული აგენტები არ დგანან.

ჩვენ გერმანიაში ვცდით, სთქვა ამბ. კლარა ცეტკინმა, რომ თქვენ აქ გაჩერებებს ბევრ რამეში განიცდით. მაგრამ როდესაც მე ვაღარებ თქვენს გაჩერებებს ჩვენსას, მე ვხედავ, რომ თქვენ მანძი ბედნიერები ხართ იმით, რომ გრძნობთ ახლისთვის, ცხოვრების უმჯობესი წყობილებისთვის, გერმანიის პროლეტარიატი — კი იტანჯება გერმანიის კაპიტალისტებისთვის, რომლებიც მათ მაკლავუნასავით აწვევთ. გერმანიის პროლეტარიატმა არც ერთხელ მოაწყობა რევოლუციონური აჯანყებები: ბერლინში, მიუნხენში, რურის ოლქში, და ანოცენ 15,000 გერმანელი მუშა პირისპირ შეტაკებებში, რომდენიმე თასი მუშა ახლაც ციხეებში იტანჯება. მაგრამ მოუხედავით ამდენი სისხლის ღვრისა, გერმანიაში რევოლუციონური ბრძოლა არ დაწყდება. ამ უკმაყოფილების პროლეტარიატი ახალ რევოლუციონარულ ხანაში ცხოვრობს, რომელსაც ახის საბოლოო რუსეთთან ნამდვილი სოლიდარობის ნიშანი.

საზღვარ გარეთელ პასპორტების გაუქმება.

რომი, 25 სექტ. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებით, იტალიის ქვეშევრდომთათვის, რომლებსაც სურთ საზღვარგარეთ წასვლა, საზღვარ გარეთული სპეციალური პასპორტები უქმდება.

ჩვენ გერმანიაში ვცდით, სთქვა ამბ. კლარა ცეტკინმა, რომ თქვენ აქ გაჩერებებს ბევრ რამეში განიცდით. მაგრამ როდესაც მე ვაღარებ თქვენს გაჩერებებს ჩვენსას, მე ვხედავ, რომ თქვენ მანძი ბედნიერები ხართ იმით, რომ გრძნობთ ახლისთვის, ცხოვრების უმჯობესი წყობილებისთვის, გერმანიის პროლეტარიატი — კი იტანჯება გერმანიის კაპიტალისტებისთვის, რომლებიც მათ მაკლავუნასავით აწვევთ. გერმანიის პროლეტარიატმა არც ერთხელ მოაწყობა რევოლუციონური აჯანყებები: ბერლინში, მიუნხენში, რურის ოლქში, და ანოცენ 15,000 გერმანელი მუშა პირისპირ შეტაკებებში, რომდენიმე თასი მუშა ახლაც ციხეებში იტანჯება. მაგრამ მოუხედავით ამდენი სისხლის ღვრისა, გერმანიაში რევოლუციონური ბრძოლა არ დაწყდება. ამ უკმაყოფილების პროლეტარიატი ახალ რევოლუციონარულ ხანაში ცხოვრობს, რომელსაც ახის საბოლოო რუსეთთან ნამდვილი სოლიდარობის ნიშანი.

დამოუკიდებელთა შორის განხეთქილება.

ბერლინი, 30 სექტ. დამოუკიდებელთა პარტიის პრეზიდენტის წევრმა — კრისპინმა მანიფესტო გამოაქვეყნა, საიდანაც შეგვიძლია დავაცნობთ, რომ მათ პარტიაში განხეთქილება მომხდარი ფაქტია, ვინაიდან მარცხენა ფრთა, რომელსაც დე-იმიტო ხელმძღვანელობს, დამოუკიდებელთა მოქმედებს. სპარტაკელთა „პოტტ ფანე“-ში დე-იმიტო გამოაქვეყნა მოწოდება მესამე ინტერნაციონალთან შესაერთებლად.

ჩვენ გერმანიაში ვცდით, სთქვა ამბ. კლარა ცეტკინმა, რომ თქვენ აქ გაჩერებებს ბევრ რამეში განიცდით. მაგრამ როდესაც მე ვაღარებ თქვენს გაჩერებებს ჩვენსას, მე ვხედავ, რომ თქვენ მანძი ბედნიერები ხართ იმით, რომ გრძნობთ ახლისთვის, ცხოვრების უმჯობესი წყობილებისთვის, გერმანიის პროლეტარიატი — კი იტანჯება გერმანიის კაპიტალისტებისთვის, რომლებიც მათ მაკლავუნასავით აწვევთ. გერმანიის პროლეტარიატმა არც ერთხელ მოაწყობა რევოლუციონური აჯანყებები: ბერლინში, მიუნხენში, რურის ოლქში, და ანოცენ 15,000 გერმანელი მუშა პირისპირ შეტაკებებში, რომდენიმე თასი მუშა ახლაც ციხეებში იტანჯება. მაგრამ მოუხედავით ამდენი სისხლის ღვრისა, გერმანიაში რევოლუციონური ბრძოლა არ დაწყდება. ამ უკმაყოფილების პროლეტარიატი ახალ რევოლუციონარულ ხანაში ცხოვრობს, რომელსაც ახის საბოლოო რუსეთთან ნამდვილი სოლიდარობის ნიშანი.

საბჭოთა რუსეთი და ბურჟუაზიული საზოგადოების აზრი.

მოსკოვი, 30 სექტემბერი. სექტემბრის დასაწყისში ლონდონის გაზეთის „დეილი ნიუსის“ კორესპონდენტისაგან ამბ. ლენინმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „საფრანგეთის და გერმანიის სოციალისტების მოხსენებებმა, რომლებიც ასლახან ჩამოვდენ რუსეთიდან, დიდი ზიანი მიაყენეს თქვენს საქმეს, ვიდრე მთელი ანტიბალშევიკურ პროპაგანდამ უკანასკნელ წლებში განავლობდა. ბრიტანის დეპუტატის ანგარიში მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგენი მკაცრად იდევნება, ეს კიდევ იმ დროს, როდესაც მუშები გაუფრთხილებია და გლეხები კი სრულად ვერ ურთივდებიან ახალ რეჟიმს. ბერტრან რესელი აღნიშნავს აგრეთვე დიდ ტირანობას, რომელიც ახასიათებს თქვენს მმართველობას.“

ჩვენ გერმანიაში ვცდით, სთქვა ამბ. კლარა ცეტკინმა, რომ თქვენ აქ გაჩერებებს ბევრ რამეში განიცდით. მაგრამ როდესაც მე ვაღარებ თქვენს გაჩერებებს ჩვენსას, მე ვხედავ, რომ თქვენ მანძი ბედნიერები ხართ იმით, რომ გრძნობთ ახლისთვის, ცხოვრების უმჯობესი წყობილებისთვის, გერმანიის პროლეტარიატი — კი იტანჯება გერმანიის კაპიტალისტებისთვის, რომლებიც მათ მაკლავუნასავით აწვევთ. გერმანიის პროლეტარიატმა არც ერთხელ მოაწყობა რევოლუციონური აჯანყებები: ბერლინში, მიუნხენში, რურის ოლქში, და ანოცენ 15,000 გერმანელი მუშა პირისპირ შეტაკებებში, რომდენიმე თასი მუშა ახლაც ციხეებში იტანჯება. მაგრამ მოუხედავით ამდენი სისხლის ღვრისა, გერმანიაში რევოლუციონური ბრძოლა არ დაწყდება. ამ უკმაყოფილების პროლეტარიატი ახალ რევოლუციონარულ ხანაში ცხოვრობს, რომელსაც ახის საბოლოო რუსეთთან ნამდვილი სოლიდარობის ნიშანი.

გერმანიის სოციალისტის — დიტმანის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება კიდევ უფრო საზიანოა თქვენთვის. იგი აღნიშნავს, რომ მუშებს, რომლებიც მუშაობაზე უარს განაცხადებენ, ხვერტენ. იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის მცხოვრებთა 75 პროც. გლეხებია და, მაშასადამე — არა სოციალისტები, არა კომუნისტები. დიტმანი ამბობს, რომ

რუსეთის მილიტარიზმი განაგებს, დეზერტირებს ხვერტენ, მუშებს გაფიცვების უფლებას და ნებას არ აძლევს. იგი აცხადებს, რომ რუსეთის ქალაქებში არ არის არც სოციალიზმი და არც კომუნისტი, და პროლეტარიატის დიქტატურის მაგივრად — დიქტატურა არსებობს მთელი პროლეტარიატის წინააღმდეგო.

ამ ბრალდებათა წინააღმდეგ გამოვიგზავნეთ დაწერილებითი პასუხი. ეს ბრალდებები მით უმეტეს საზიანოა თქვენთვის, რომ გიყენებენ ცნობილი სოციალისტები.

ამბ. ლენინმა შედეგი უპასუხა: „თქვენს დეპეშით შევითხვარე ვაცინებთ, რომ ბალშევიზმის წინააღმდეგ გერმანიის დამოუკიდებელთა მარჯვენა ფრთის წარმომადგენლის გამოლაშქრება, მე არ მაკვირვებს. მოსკოვში კომუნისტურ ინტერნაციონალის კრიოლოზზე მე ჩემს სიტყვაში დავამტკიცე, რომ კრისპინის იდეები სრულიად კაუჭკაინურია. ბუნებრივია, რომ კაუჭკაინები, კრისპინის და დიტმანის სახით, ბალშევიზმით კმაყოფილი არ არიან. სამწუხარო იქნება იმის და მოსაწყენი, რომ ასეთი ხალხი ჩვენით კმაყოფილი იყვნენ. ბუნებრივია, რომ ასეთი წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატები, როგორცაა დიტმანი, სრულიად ემსავსებოდა ჩვენს მენშევიკებს, რომლებიც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის გადამწყვეტ ბრძოლის დროს ხშირად და თითქმის მუდამ უკანასკნელთა ბანაკში იმყოფებიან. უფრო გისი იქნებოდა მესამე ინტერნაციონალი რომ მას მიეღო გერმანიის, საფრანგეთის და სხვა სახის დიტმანები.“

თუ თქვენ გგონიათ, რომ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის მუშათა დელეგაციის ანგარიშებმა ბალშევიზმს მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მთელი ანტიბალშევიკურმა პროპაგანდამ, მაშინ მე აქედან გამოვიყვანილ დასკვნას კმაყოფილებით ვიზიარებ.

მოდით და დავდეთ ხელწერილი: თქვენ მთელი ქვეყნის ანტიბალშევიკურ ბურჟუაზიის სახელით, მე — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის. ამ პირობის თანახმად რუსეთში ყველა ქვეყნიდან გამოიგზავნოს მუშებისაგან და ღარიბ გლეხებისაგან შემდგარი დელეგაცია (ე. ი. ვინც თავისი შრომითი კაპიტალს მოგვებს აქლეს); დელეგაცია დარჩეს რუსეთში ორორი თვე. თუ ასეთი დელეგაციების ანგარიშები სასარგებლო იქნება ანტიბალშევიკურ პროპაგანდის საქმისთვის, მაშინ ყოველგვარი ხარჯები დელეგაციის მოწყობას თავს იღებს საერთაშორისო ბურჟუაზიამ. მაგრამ, თუ ეს ბურჟუაზია ყველა ქვეყნებში ძალიან სუსტი და ღარიბი გამოდგება, ჩვენ — კი უფრო მდიდრები, მე შევეცდები საბჭოთა მთავრობაში გაიღოს ხარჯების სამი მეოთხედი და დანარჩენი მეოთხედი — კი ყველა ქვეყნის მილიონერებმა გადაიხადოს. იმედო მაქვს, რომ თქვენ თვითონ საერთაშორისო ბურჟუაზიისა და საბჭოთა რესპუბლიკის შორის ასეთი ხელწერილის დასადებათ ყოველგვან და ყოველთვის აგიტაციას გასწვეთ, (რასაკვირველია, აქ იგულისხმება ანტიბალშევიკურ პროპაგანდის სასარგებლო აგიტაცია).

ახალი ამბები

მუშათა კლუბში 3 ოქტომბრისათვის დანიშნული ქარხნის კომიტეტების (შინაგან კომიტეტები) წევრების საზოგადო კრება, რომელიც არ შესდგა კ. კუტუკის ჩამოსვლის გამო, შესდგება კერას, 10 ოქტომბრის იმავე შენობაში. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

მოწინააღმდეგეთა განაპი

I. „ოპოზიცია“.

დღი ხანა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. მენშევიკებმა ამ განხეთქილებას კალთა გადაფარეს და ბევრი ეცადეს, რომ „მტრების სასიხარულოდ“ მათი „ოჯახური“ უთანხმოება არ გამოქვეყნებულიყო, მაგრამ არ იქნა და ვერ შეძლეს „მახათის ტომარაში“ დაბრუნება.

წილის პარტიისა გამოიჩინა ეგრედ წოდებული „ოპოზიცია“, რომელიც ოცდა სამი კვირაა (დღიდან „ახ. სისვის“ დაარსებისა), რაც „ერთობა-ბარბისტებს“, ანუ მენშევიკების არისტოკრატას „კრიკაში“ უდგას და „კრიტიკის ქარ-ცეცხლში“ ატარებს.

ამ „ოპოზიციის“ თვისებები სულ სხვაა, ვინემ სხვა ოპოზიციებისა, როგორც არიან მაგ. მარცხნივ კომუნისტურ პარტია და მარჯვნივ პარტია ნაციონალ-დემოკრატიისა.

ეს „ოპოზიცია“ თვით მენშევიკების საშობში გამოიჩინა და მითომ ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ახლო გაცეცნობით მის ნამდვილ „ოპოზიციონერობას“.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას მოითხოვენ მმართველ პარტიისაგან „ოპოზიციონერი“ პარტიები.

მაგ. ნაციონალ-დემოკრატიის „მუკლის ტიფლი“ ვინ არ იცის. ნაციონალ-დემოკრატიის პარტია ბუნებრივად აშკარა კონტრ-რევოლუციონური პარტიაა. ამას არც თვითონ ისინი უარყოფენ. მათ სურთ შემამულეთა და ბურჟუაზიის აშკარა, პირახდილი ბატონობა. და რამდენათ ამ მათ მიზანს მენშევიკები ენსახურებოდნენ და ემსახურებიან, იმდენათ მათ შორის შეზღ-შემოხლას ადგილი არა აქვს. ამ უკანასკნელ ხანს მენშევიკების სამსახური ბურჟუაზიისადმი ყველასთვის აშკარა შეიქნა. ამიტომაც ნაციონალ-დემოკრატიის ოპოზიციონერობაც განელდა.

თვით მენშევიკებიდან გამოიჩინა „ოპოზიცია“ კი სულ სხვა სარჩული უდგას.

საჭიროა გავიგოთ, თუ ვინ არის ამ „ოპოზიციის“ სულის ჩამდგელი, რომ ნათელვყოთ მისი წარმომშობი მიზეზები.

ცხნოსნებმა სწრაფი მამაციური თავდასხმით სად. როზოვა აღიღეს, გააფუქეს რკინის გზის ლანდაგი და ტყვეთ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის პირველი დონის დივიზიის შტაბი მთელი მისი ოპერატიული ქალაქები და ქარტებით, აგრეთვე პირველი დონის კორპუსის ხელმძღვანელი, პირველი დონის დივიზიის უფროსი და ამავე დივიზიის შტაბის უფროსი. მოწინააღმდეგე მდინარეში ჩაყარეს.

იუზოვის რაიონში ჩვენი ნაწილები შეტევას განაგრძობენ და მდ. კოლხალს მიადგებიან.

7 ოქტომბერი.

პოლონეთის ფრონტი.

მინსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კოლინოვოს რაიონში ბრძოლის შემდეგ ამ პუნქტის აღმოსავლეთით ახალი პოზიციები დაიკვირეს.

სარის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგე მდ. უბორკის გაღმა გადაარქა და ოლქესკი დაიკვირეს. ნოვოგრად ვოლინის და ლეტიჩევის რაიონებში ცვალებადის ხასიათის ბრძოლები გრძელდება.

ყირიმის ფრონტი.

ვოლნოვასის რაიონში, ჩვენმა ნაწილებმა სად. ვოლნოვასის დასავლეთით ათ ვერსზე და სამხრეთით 15 ვერსზე სოფლები დაიკვირეს.

მარიუპოლის რაიონში ჩვენი ნაწილები მდინარე კალანიკზე გამოდნან (მარიუპოლის დასავლეთით).

მოწინააღმდეგეთა განაპი

დღი ხანა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. მენშევიკებმა ამ განხეთქილებას კალთა გადაფარეს და ბევრი ეცადეს, რომ „მტრების სასიხარულოდ“ მათი „ოჯახური“ უთანხმოება არ გამოქვეყნებულიყო, მაგრამ არ იქნა და ვერ შეძლეს „მახათის ტომარაში“ დაბრუნება.

ახალი ამბები

მუშათა კლუბში 3 ოქტომბრისათვის დანიშნული ქარხნის კომიტეტების (შინაგან კომიტეტები) წევრების საზოგადო კრება, რომელიც არ შესდგა კ. კუტუკის ჩამოსვლის გამო, შესდგება კერას, 10 ოქტომბრის იმავე შენობაში. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

მოწინააღმდეგეთა განაპი

დღი ხანა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. მენშევიკებმა ამ განხეთქილებას კალთა გადაფარეს და ბევრი ეცადეს, რომ „მტრების სასიხარულოდ“ მათი „ოჯახური“ უთანხმოება არ გამოქვეყნებულიყო, მაგრამ არ იქნა და ვერ შეძლეს „მახათის ტომარაში“ დაბრუნება.

წილის პარტიისა გამოიჩინა ეგრედ წოდებული „ოპოზიცია“, რომელიც ოცდა სამი კვირაა (დღიდან „ახ. სისვის“ დაარსებისა), რაც „ერთობა-ბარბისტებს“, ანუ მენშევიკების არისტოკრატას „კრიკაში“ უდგას და „კრიტიკის ქარ-ცეცხლში“ ატარებს.

ამ „ოპოზიციის“ თვისებები სულ სხვაა, ვინემ სხვა ოპოზიციებისა, როგორც არიან მაგ. მარცხნივ კომუნისტურ პარტია და მარჯვნივ პარტია ნაციონალ-დემოკრატიისა.

ეს „ოპოზიცია“ თვით მენშევიკების საშობში გამოიჩინა და მითომ ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ახლო გაცეცნობით მის ნამდვილ „ოპოზიციონერობას“.

ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რას მოითხოვენ მმართველ პარტიისაგან „ოპოზიციონერი“ პარტიები.

მაგ. ნაციონალ-დემოკრატიის „მუკლის ტიფლი“ ვინ არ იცის. ნაციონალ-დემოკრატიის პარტია ბუნებრივად აშკარა კონტრ-რევოლუციონური პარტიაა. ამას არც თვითონ ისინი უარყოფენ. მათ სურთ შემამულეთა და ბურჟუაზიის აშკარა, პირახდილი ბატონობა. და რამდენათ ამ მათ მიზანს მენშევიკები ენსახურებოდნენ და ემსახურებიან, იმდენათ მათ შორის შეზღ-შემოხლას ადგილი არა აქვს. ამ უკანასკნელ ხანს მენშევიკების სამსახური ბურჟუაზიისადმი ყველასთვის აშკარა შეიქნა. ამიტომაც ნაციონალ-დემოკრატიის ოპოზიციონერობაც განელდა.

თვით მენშევიკებიდან გამოიჩინა „ოპოზიცია“ კი სულ სხვა სარჩული უდგას.

საჭიროა გავიგოთ, თუ ვინ არის ამ „ოპოზიციის“ სულის ჩამდგელი, რომ ნათელვყოთ მისი წარმომშობი მიზეზები.

ეს ვახლავთ ბ. გრ. გიორგაძე, ყოფილი სამხედრო მინისტრი და დამფუძნებელი კრების წევრი.

ბ. გიორგაძე და „ოპოზიციონერი“.

პირველ შეხვედრით თითქოს გავიკვირდებოთ, მაგრამ საჭიროა საქმეს ღრმად ჩაუკვირდეთ, რომ მიხვდით ნამდვილ მიზეზებს.

მაშ, რაშია საქმე? რათ დაირღვა სიმშვიდე მენშევიკების ქაობში? რათ ყუყუანებენ აგრე წარა-მარა „სხივის“ „ოპოზიციონერები“ და მოსვენებას არ აძლევენ „ერთობლებს“?

ცხადია, რათ:

ვინც თვალსურს ადევნებდა და დღესაც ადევნებს მათ შორის ხანგამოშვებით მიწვე-მოწვევას, მათ გოლიათების ბ. ბ. წულაძისა და გიორგაძის შეტაკებას და „ახ. სხივის“ ფურცლებზე დღენილი მუშისა, გვაბრათების და სხვების ცხარე ცრემლით ტირილს, მისთვის აშკარა და ნათელი უნდა იყოს მიზეზები „ოპოზიციის“ წარმოშობისა. მართლაც და რა დაუშვა მენშევიკების არისტოკრატამ „ოპოზიციონერებს“ და განსაკუთრებით ბ. გიორგაძეს, რომ ისინი „თავგანწირვით“ ებრძვიან და პეტრე დიდის ქუჩიდან ტალახის ტყვიებს უშენენ „ერთობლებს“.

მართალია ეს უღლეური „ოპოზიცია“ არც ჩვენ პარტიასაც აკლავს ტყვია-წამოს, მაგრამ ის ჩვენთვის ამ უკმაოდ იმდენად საყურადღებოა, რამდენათ რუსეთის მუშებისათვის მენშევიკების არსებობა.

დაე, ფინამ რამდენიც უნდა იყუფოს... ის ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს „ოპოზიციონერების“ ბუტიაობა კი, რომლისთვის „ერთობლებს“ არა ერთხელ გაუწყობიათ ისინი, უნდა იხსნას მხოლოდ და მხოლოდ თბილ თბილ ადგილებსა და სამინისტროს პორთფელის მიღების სურვილით. აქ კი მართალი უნდა ითქვას „ერთობლების“ გატყუებები არც ისე იოლია.

ყველას ხომ სამინისტროს პორთფელები არ მოუწევს. თუმცა აქ შეიძლება „ოპოზიციონერების“ დაწესება, მაგრამ, მაგნი, რომ ვერც მან დასჯას. როგორც სწავს ძნელი ყოფილა პორთფელის განწმობება. ამას ამტკიცებს მომზარებების მინისტრის ბ. ერასის ვარშემო — ამ დღეებში ამტკიცებდა განაპი. ბატონო მინისტრო, თქვენ თქვენს ადგილას არა ხართ, უნდა წარბანდეთ! უზუნებანი.

ისიც უპასუხებს, —ტყუილათ ილღეებით — ბატონებო მე თავის ადგილას ვარ და არსადაც წასვლას არ ვაპირებო.

კერძოდ ბატონ გიორგაძის შესახებ შემიძლია ითქვას: რომ ის იმიტომ არის გამწყრალი „ერთობლებზე“, რომ ის სამინისტროს კაბინეტისად „ახ. სხივის“ რედაქციოში გადაიხილეს. ეს ალბათ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციის შეცვლას უნდა მიეწეროს. მან კარგათ უნდა იცოდეს, რომ „დრონი მეფობზე“ და არა მეფენი“. მან ხომ თვისი სახელი უკვდავ ყო ბანკეტებზე სადღეგრძელოებით ფაშებისა და გენერლების მიმართ.

და თუ დრო შეიცვალა და საქართველოს მთავრობამ კვლავ ოსმალების ორიენტაცია მიიღო, ექვს ვარშეა, რომ ბ. გიორგაძეს ან სამხედრო მინისტრის პორტფელს დაუბრუნებენ, ანდა მომარაგების სამინისტროს პორთფელს ჩააბრუნებენ.

ასეა თუ ისე მენშევიკებს გაუჩნდა შინაური „ოპოზიცია“.

და ჩვენ არ ვმალოთ და ვიტყვი, რომ „ერთობა“ სრულ შემარტებას დაღაღებს, როცა „ოპოზიცია“ მამა-შვილურად შურჩევს თავი დაანებოს „მოწინააღმდეგის“ (ისე იგი ჩვენს) წისკილზე წყლის სხმას. (ერთობა № 225.) ჩვენ წისკილზე წყალს ასხამს არა მარტო ბ. გიორგაძის უხერხემლო „ოპოზიცია“, არამედ მთელი მსოფლიოს იმპერიალიზმი „ერთობლებთან“ ერთად. სწორედ ამშია თქვენი ტრაგედია ბატონებო.

თქვენ რომ ჩვენ არ გვეხმარებოდეთ კომუნისტი განმტკიცებაში, გარწმუნებთ, რომ ჩვენი საქმე ისეთი გიგანტიური ნაბიჯით წინ არ წავიდოდა. მაგრამ ეს ხდება თქვენდა საუბედუროდ არა თქვენი სურვილით, პირიქით, თქვენი სურვილის წინააღმდეგ.

ბ. კომუნარი.



საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის
ფურცელი № 7

ჩვენი მუშაობის უახლოესი ამოცანები

კაპიტალისტურმა წარმოებამ ჯოჯოხეთური პირობები შექმნა მუშათა ახალგაზრდობისათვის. თუ მუშათა კლასი საერთოდ იცვლედიდა და იცვლებოდა კაპიტალიზმის ხანაში, მუშათა ახალგაზრდობა მით უფრო და მისთან უფრო დაწვრილდა; იმ დროს, როდესაც მუშათა ახალგაზრდობა ლეზულობს მონაწილეობის წარმოებაში, ეწევა აუტანელ მუშაობას, როდესაც ის ქმნის მთელი ქვეყნის სიმდიდრეს და კეთილდღეობას, იმ დროს ის მოკლებულია ყოველივე დამიანურ უფლებას, მას სთვლიან სახედარ პირუტყვად, რომლიდანაც უნდა გამოსწოვონ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა, მეტი მოგება, რომლის სისხლიც უნდა გადაიქცეს ოქროდ მუქთა ხორათა საკეთილდღეოდ. მუშათა ახალგაზრდობა იმ მუშაობისათვის, რომელსაც ის ასრულებს, აძლებულია ასრულოს წარმოებაში, ლეზულობს იმდენ ხელფასს, რომ მას შეეძლოს მუშაობის გაგრძელება და სიმდიდრის შექმნა.

ახალგაზრდა მუშებს ამუშავებენ იმდენ ხანს, რომ მათ არ რჩებათ დრო თავიანთ ინტერესებზე მსჯელობისათვის. ახალგაზრდა მუშებს ამუშავებდნენ მანამ, სანამ ისინი დალილობისაგან და სიმშლისაგან არ დაეცემოდნენ. ასეთ პირობებში კი მათ არ შეეძლოთ ეფექტურად და ემსჯელოთ თავის მდგომარეობაზე. ახალგაზრდა მუშები ამის გამო აღშფოთებული და ზიზით აღვისილი იყვნენ ბურჟუაზიულ საზოგადოებისადმი, რომლებმაც განაპირობებინათ ასეთი ბარბაროსული ყველაფერი. ამას ემატება მილიტარიზმიც. ბურჟუაზიულ მთავრობების მიერ შეიარაღებულ ძალების გადაიდება ახალგაზრდა მუშებისათვის და ორგანიზაციული ბრძოლისკენ სწრაფვა. პირველი გამოხატულება აღშფოთებული მუშათა ახალგაზრდობისა სწორედ მილიტარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ახალგაზრდა მუშებისაგან და შრომელ გლეხურ ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა და შეედგება ის ჯარები, რომელსაც ეყრდნობიან ბურჟუაზიული რეაქციონერი მთავრობები. მუშათა ახალგაზრდობა ასე ათასობით და მილიონობით მიჰყავდათ სასაკლავოდ. ახალგაზრდა მუშები და გლეხები ებრძვიან ასეთ მდგომარეობას. ისინი ხმას იმაღლებენ ასეთი მოვლენის წინააღმდეგ და თავისი აღშფოთება და ზიზილი მოქმედებაში გადააქვთ.

მუშათა ახალგაზრდობა ახდენს მრავალრიცხოვან ადმინისტრაციებს რეაქციონერი-იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, თვით ისტორიაში გაუგონარ და უხანაგ რეაქციის თარღის და ხელშეხლებელი ბატონობის დროსაც კი, პირველად ახალგაზრდა მუშებმა გამოუქცადეს ბრძოლა სამარცხვინო და საშინელ ომს და მოუწოდეს მუშათა კლასს კომუნისტების განსახორციელებელ ბრძოლისაგან. მუშათა ახალგაზრდობის მოწოდებამ გამოარჯვა ბრძოლა სოციალიზმისათვის და იწყა. სოციალისტური რევოლუციის ტალღები ზრდასწავდა. მუშურ გლეხური ახალგაზრდობა დარაბმული და შეკავშირებული უნდა იყოს ამ ბრძოლისათვის.

ყოველი ორგანიზაცია ძლიერია თავის წევრთა შეგნებით და გონებრივი სიმბალით. ჩვენს მუშაობაში დგება ახალი ხანა. ჩვენი მუშაობა უნდა იქნას მიმართული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კლასურ შეგნების თავის სიმბალზე აყვანისა და გონებრივ ამაღლებისაკენ. ამისათვის აუცილებლად ყოველი წევრი უნდა ლეზულობდეს მონაწილეობის ამ საქმეში და შექონდეს თავისი წვლილი, რათა საკუთარი ძალებით შექმნათ გაკავებული ორგანიზაცია, რომელიც წინ გაუძღვება მთავალ რევოლუციას და ახალი საზოგადოების შენობას დაამყარებს. ჩვენი ორგანიზაციის ყოველ წევრს უნდა ჰქონდეს ნამდვილი წარ-

მოდგენა ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა ეკონომიურ, უფლებრივ და სხვ. მდგომარეობაზე საქართველოში და ყველა ქვეყნებში. ამისათვის ჩვენ დაგვიტყობს ბევრი შრომა და ბევრი დაბრკობა გადალახვა. ამაზე ბევრი წერა და ლაპარაკი მოგვიწევს. ამისათვის კი ყოველი წევრი ვალდებულია მოგვაწოდოს ცნობები მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან, რომ გვეჩვენებს შეძლება გავარკვეოთ მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობა და ვუძღვებოდეთ ბრძოლას იმ აუტანელ მდგომარეობის გასაუფლებლად, რომელშიაც უშეძველად იმყოფება ლეს მშრომელი ახალგაზრდობა. ასეთი საერთო შრომით და თვითმოქმედებით ჩვენ მივაღწევთ სასურველ შედეგებს.

ახალგაზრდა მუშები და გლეხები; კაცობრაობის ხსნა მხოლოდ კომუნისტურია. ჩვენი მოვალეობაა დაუზოგელად ვიბრძოდოდ და ჩვენი შრომით ხელი შეუწყოთ მის ძლიერად მოხილვას.

ეკითხვები ინტერნაციონალის დეკლარაციის და კარლ ლენინის ჩამოსვლა.

ამას წინეთ საქართველოს ესტუმრა ყვეოთელი ინტერნაციონალის დელეგაცია. უფრო სწორედ რომ ვთქვათ—ეს იყო გამარჯვებული იმპერიალიზმის დელეგაცია, როდესაც ბურჟუა-საქეულიანტებს გაუძღვლდებოთ რომელიმე საკითხის მოგვარება, ისინი მიმართავენ სოციალ-მოლატეებს, რომელნიც სიტყვით იცავენ მუშათა კლასის ინტერესებს, საქმით კი ებრძვიან მას. როდესაც ბურჟუაზიული მთავრობები ევროპაში ამაღლებდნენ სამარცხვინო, საზიზარ იმპერიალისტურ-რეაქციონურ ომს, სოციალ-მოვი-ნისტები ეხმარებოდნენ მათ ომის სასარგებლო აგიტაციის წარმოებით; ისინი ატყვილებდნენ მუშათა კლასს და ურჩევდნენ მათ სასაკლავო რეაქციის საკეთილდღეოდ წასვლას და იქ სიკვდილს. სწორედ იმ სოციალ მოლატეები, რომელნიც ესტუმრნ საქართველოს ბურჟუაზიას და მის მთავრობას, ხმას აძლევენ სამხედრო ბიუეტებს და მიერეკებოდნენ მუშათა კლასს ომის ველზე, ზოგი მათგანი შიგ მთავრობებშიც შევიდა და მინისტრების სავარძლიდან ეწეოდნენ ფართო აგიტაციის ომის გასაძლიერებლად, „ამტიკედა“ მის აუცილებლობას და საქართველოს მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

მეორე ინტერნაციონალი, რომელიც მოწოდებდა იყო მუშათა კლასისთვის ცხელმძღვანელობა, სამარცხვინოდ გარდაიცვალა. ის დაიშალა და მისი მონაწილე პარტიები თავის ქვეყნის ბურჟუაზიის ამოუდგენ გვერდში. ბურჟუაზია ზეიმობდა. სოციალ-მოლატეებმა ხელი მისცეს რევოლუციონერ მოძრაობის დამარცხებულ მთავრობებს და დაეხმარნენ მათ ამ საქმეში. ასე წლობით შექმნილი კლტურა განადგურდა, მილიონობით მშრომელი ხალხი დაიღუპა, ათასობით და ათათასობით ქალაქები და სოფლები მიწასთან გასწორებულ იქნა. მილიონობით მშრომელი ახალგაზრდობა მოსწყვიტეს მუშაობას, ჯარში გაიწვიეს, მათი საშვალბით უნდოდათ რევოლუციის შესაძლებლობის მოსპობა. და ყველა ამაში თავისი წვლილი შეიტანეს სწორედ იმ სოციალისტებმა, რომელნიც ესტუმრნ საქართველოს. მაგრამ მუშათა კლასი გამოფიხზდა და და დადგა თავის კლასიურ ბრძოლის გზაზე. აღმოჩნდა რომ ომის გათავება უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაწყება. ბურჟუაზიამ მიმართა სოციალ-მოლატეებს და ნება დართო სტოკჰოლმში მოეწვიათ ე. წ. სოციალისტური კონფერენცია, რათა ამ ვითარება მუშათა კლასის წარმომადგენლებს ესინჯათ ის საშიში ნიდაფი, რომელსაც სჯობს ჩამოგდებას უწოდებდნენ. ამით უნდოდათ მუშათა კლასის ჩათრევა ზავის ჩამოგდებაში, მხოლოდ ისე კი, რომ ბურჟუაზიის ინტერესები მტკიცედ ყოფილიყო დაცული. ამისათვის მათ უთხრნენ თავის ქვეყ-

ნის სოციალ მოვიანტებს: „დღე, გვიანდეთ თქვენი სოციალისტური სახელწოდება, რათა მუშათა კლასი ჩაითიროთ ჩვენს პოლიტიკაში, მხოლოდ საქმით ჩვენ კარნახს ნუ გადაუხვევთ და მიიღებთ მესაფერ საფასურს: მინისტრის პორტფელს და სხვა საპატიო ადგილებს“.

უნდა კი მთელი იმპერიალისტური ევროპის წინაშე დგას საკითხი: ბალშევიზმთან ბრძოლა. ამ საკითხში სოციალ-მოლატეები არამც თუ ეხმარებიან ბურჟუაზიას, კიდევ მეტი, ისინი ხელმძღვანელობენ ბრძოლას. ევროპის მუშათა კლასის მიერ უარყოფილი ისინი მოდიან საქართველოში. რისთვის?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება. საქართველო უნდაა გახადონ იმ ბაზათ, საიდანაც უნდა ებრძოდონ ბალშევიზმს, სოციალისტურ რევოლუციის და მის მეთაურ, მებრძოდნეს საბჭოთა რუსეთს. ისინი გამომავანა „გამარჯვებულმა“ ანტიანტიმ, რათა დაათვალიერონ თუ როგორ ასრულებენ საქართველოს მმართველნი იმპერიალიზმის მიერ ნაკარნახევ ბრძოლას ბალშევიზმთან შიგნით და გამოსადეგია თუ არა საქართველო საბჭოთა რუსეთთან ბრძოლისათვის. აგრეთვე გავიგოთ, ღირს თუ არა საქართველოში ევროპის საკულანტეების ჩამოსვლა და შეიძლება თუ არა აქედან რამეს წალება. სოციალ-მოლატეებმა ჩინებულად შესარულეს ეს ეს დავალება. მათ ინახულეს ყაზბეგი, როგორც სტრატეგიული პუნქტი და რადგან ის ყველაზე უმთავრესი საქმე იყო, ყველაზე უწინ ის შესარულეს. შემდეგ ინახულეს ყველა ის ადგილები, საიდანაც ევროპის იმპერიალისტებს შეუძლიათ რამეს წალება, მოეპარაკენ ადგილობრივ საკულანტებს. და ვიავეს რა, რომ აქ ჯერ დიდი საქმე დარჩენია კაპიტალს გასაკეთებელი, დაბრუნდნენ თავის იმპერიალისტებთან. ისინი დაწმუნდნენ, რომ აქ კაპიტალისტი საზღაბრო მოგებას ღებულობს და ბრმა საარაკოდ იყვლიფება.

წასვლისას დასტოვეს რა ერთი აგენტი (დე-ბრიუკე) სასაკულანტო საქმეების მოსაწყობებლად, დაპირდა საქართველოს მთავრობას, რომ მალე გამოგზავნიან ევროპის კაპიტალისტებს, რომლისთვისაც აქ არსებობს შესაძლებლობა ყველფისა. ეს სოციალ-მოვიანტები ჩამოვიდნენ მათი საქმის გასაკეთებლად, და სთქვეს: საქართველო კარგათ ებრძვის ბალშევიზმს.

საქართველოში ჩამოვიდა აგრეთვე კარლ კაუცკი. მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ მართლაც უხერხულია, ან რა უნდა გაეკეთებინა დამარცხებულ გერმანიის ბურჟუაზიის წარმომადგენელს. კაუცკისთვის ძნელი იყო ანტანტის სოციალისტ მოლატეებთან ერთათ სიატელი. მეტი რომ არა ვსთქვათ კაუცკი დღეს პოლიტიკური ინიციატეულია, ის განდევნა თავის პარტიამაც კი; მუშათა კლასმა კი ის დიდი ხანია გააძევა თავის რიგებიდან.

ჩვენს პაპუიკოში ქუთაისის გუბერნია.

1920 წელს, 3 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირს დაუწყწარნენ ყველა რაიონების წარმომადგენლები, გარდა რაქისა. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

- 1) საგუბერნო ბუროს მოხსენება,
- 2) მოხსენება ადგილებიდან,
- 3) მომავალი მუშაობა,
- 4) რაიონულ, ცენტრების შექმნა,
- 5) სხვა და სხვა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ანბ. გიორგმა, რომელმაც აღნიშნა თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა ბიუროს. მოხსენებით ყველა წარმომადგენლები კმაყოფილი დარჩნენ. შემდეგ ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებიდან გამომდინარე, რომ მუშაობა სასურველად მიმდინარეობს. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მიუხედავად რეპრესიებისა, რომელსაც განიცდიან ჩვენი ორგანიზაციები, გასვარძოთ მუშაობა და არავითარ რეპრეს-

საქართველოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! ვაზეთ „ახალი კომუნისტი“ გვაქვს დათმობილი ფურცელი. ამ ფურცელში უნდა ირკვეოდეს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა ინტერესები. უამისოთ ბრძოლა ახალგაზრდობის მდგომარეობის გასაუფლებლად შეუძლებელია.

ჩვენი ფურცელი იარსებებს და იქნება ნაყოფიერი მხოლოდ წევრთა მონაწილეობით. მოგვაწოდეთ ცნობები მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის ნივთიერ უფლებრივ მდგომარეობის შესახებ, ყოველმა ორგანიზაციამ უნდა იყოილოს პასუხისმგებელი კორესპონდენტი. მოგვაწოდეთ ცნობები ადგილობრივი ორგანიზაციის ცხოვრებიდან.

მაშინ ჩვენი ფურცელი მოგიტანს ნაყოფს და გაგიადგილებს ბრძოლის მდგომარეობის გასაუფლებლად.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ფურცლის საჩუქრად გთავაზობთ.

სისი წინაშე არ დავიხიოთ, ვინაიდან ჩვენი ეციოთ და გერწამს, რომ ვიბრძვით უკეთეს და უძლეველი მომავლისათვის. მისამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ანბ. ნე. მან აღნიშნა საერთო მდგომარეობა და გამოსტქვა ის აზრი, რომ ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ ლეგალური არსებობის უფლება და ვიბრძოდებთ ლეგალურათ, სანამ ერთი ჩვენი ამხანაგი დარჩება თავისუფალი.

შემდეგ არჩულ იქნა გურიის ცენტრი, სასერგლოს ცენტრი. გურიის ცენტრალურ კომიტეტში არჩულ იქნა ოთხი ამხანაგი. თათბირი მეტად საინტერესო იყო და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

გურიისა

18 სექტ. შესდგა ან. მუშ. და გლ. კომ. კავშირის გურიის ცენტ. კომიტეტის მორიგი კრება. კრებას დაესწრო წარმომადგენლები გურიის ყველა რაიონებიდან. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევა, 3) მასაღმება აღმოსავლეთის კომუნისტურ ყრილობას, 4) პროტესტი სომხეთის ჯალათების წინააღმდეგ.

მოხსენებამ აკეთებენ ყველა რაიონების წარმომადგენლები, საიდანაც ირკვევა, რომ მუშებდავით რეპრესიებისა წარმოებას სისტემატიურათ მუშაობა; ორგანიზაციის წევრები იკრიბებიან, იწყებენ მეცადინეობას მარქსისტულ და თანამედროვე ბოლშევიზმით ეწერებიან ახალი წევრები ასე, რომ ახალგაზრდობაში დიდი თანაბრობა აქვს მოპოვებული ჩვენს ორგანიზაციას. პასუხისმგებელ კორესპონდენტათ არჩეულ იქნა კ. იმს. ყველა რა გურიის კომიტეტმა სომხეთის ჯალათურ მთავრობის მოქმედებაზე გამოატანა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ გურიის მშრომელი ახალგ. აღშფოთებული ასეთ მხეცურ მოქმედებით სასტიკ პროტესტს და ზიზს ვუცხადებთ სომხეთის რეაქციონურ მთავრობას და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნას ეს უხანაგითო ხოცვა-ჟლეტა, თეთრი ტიპორი და ყოველივე შევიწროება კომუნისტების მიმართ. გურ. კომ. ახალ. ყრილობას და უსურვებს ერთხელ აწეული წითელი დროშა ამაყათ და მედიდურათ მიეტანათ აღოქმის ქვეყნის კარებამდე.

კოლეონია.

კახეთი. სიღნაღის მაზრაში არსებობს მშრომელ ახალგაზრდობის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელშიც მშრომელი ახალგაზრდობა ბლომათ ეწერება. მაზრაშიც კარგად მიმდინარეობს მუშაობა.

პროტესტი.

5 სექტემბერს სიღნაღის რაიონის მუშურ-გლეხური ახალგაზრდა კომუნისტები ენერგიულ პროტესტს უცხადებთ სომხეთის დასავლეთ მთავრობას,

რომლის პოლიტიკა არის განხორციელებული ეროვნული შუღლის, მტრობის, ინტრიგის და ძმათა შორის სისხლისღვრის. ჩვენ შორეული ოზურგეთის რევოლუციონური ახალგაზრდობა სომხეთის მშრომელ კლასთან ერთათ ვგლოვობთ მისი საუკეთესო მეთაურების დანაკლის, მაგრამ დაწმუნებული ვართ, რომ დასავლეთსა საშინელი რეპრესიებით წელში გატეხილი სომხეთის პროლეტარიატი, რევოლუციონურ გლეხობასთან ერთათ კვლავ მოლონირდება, კვლავ გამარჯდება, შემოკრება წითელი დროშის ქვეშ და მაშინ — დარეკს უქანასკნელი სათით სომხეთში საზიზარ დასავლეთისა ბატონობისა. ეს ასე მოხდება, რადგანაც ცხადია, რომ პროლეტარიატის ბუნებრივი ლტოლვის შეჩერება სოციალიზმისკენ არ შეიძლება, შესაძლებელია მხოლოდ მისი შეფერება.

ანბ. დავალებით ვაღეონიარა.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

განცხადება

„წითელი პარსკვლავი“

- გამოსულია.
1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიზმი). ფ. 3 მ.
 2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომავლად და ინტერნაციონალი ამოშავალი. ფ. 5 მ.
 3. მ. კასპიელი. ვინ სტყვის? ფ. 10 მ.
 4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ნაშთი. ფ. 5 მ.
 5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
 6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

იბეჭდება:

გამზადილია დასაბეჭდათ:

8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნიზმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფსინაღური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნისმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარიატ ყველა ქვეყნისა, შეერთი!
13. ნ. გეტტო. რით იხსნება რუსეთში სოციალისტ. რევოლუციის აღვილად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კარლ კენტ. კომიტეტის მიმართვა კარლისადნი 1850 წ.
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მითაცხვებულა პასკევის ქ. № 3, მეორე საოთელი, ტელ. 9—81.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნო კომიტეტის ბიურო მითაცხვებულა პასკევის ქ. № 3, მეორე საოთელი, ტელ. 8—91 ბიურო ღიაა დღის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მითაცხვებულა ჩერქეზოვის ქ. № 15 ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მითაცხვებულა რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირიდან) ბიურო ღიაა დღის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მითაცხვებულა რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირიდან) საღამოს 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მითაცხვებულა რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირიდან) საღამოს 10—12 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.